# ცნობის ფურცელი
## სურათებიანი დამატება

დამატების № 134. ხუთშაბათი, 10 ივლისი 1903 წ. გაზეთის № 2205.

3 მანეთი და 50 კაპ. ღირს ყოველ დღიური გაზეთი **ცნობის ფურცელი** კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 ივლისიდან წლის დამლევამდე.

## წვიმა

**ჩინური ზღაპარი, დოროშევიჩისა**

ცის შვილი, ბოლდიხანი ლი-ოა,—იყოს სახელი მისი დაუვიწყარ ქვეყნიერების დასასრულამდე!—თავის ფაიფურის სასახლის სარკმელთან იდგა. იგი ჯერ ახალგაზრდა იყო და ამიტომ გულკეთილი. ფუფუნებასა და განცხრომით ცხოვრებაში იგი მაინც ზრუნავდა ღარიბ-ღატაკთა და უბედურთათვის.

კოკის პირულად სწვიმდა. ცასა და დედამიწას თავპირი ჩამოსტიროდა; ხეები და ყვავილები ცრემლებს აფრქვევდნენ. სევდამ მოიცვა იმპერატორის გული, იგი მტკივნეულად შეეკუმშა. მწუხარებით წამოიძახა:

— ვაი, იმ საცოდავების ბრალი, რომელთაც ამ თავსხმაში ქუდი არ მოეპოვებათ, რომ თავზედ დაიხურონ! — მიუბრუნდა სასახლის კარის კაცს და უბრძანა:— მსურს შევიტყო, რამდენია ამისთანა უბედური პეკინში?

— სინათლევ მზისაო!— მოწიწებით მოახსენა იმის წინ გართხმულმა ძუნგ-ხი-ძანგმა: — განა არის რამე შეუძლებელი მე-

— ქვეყნიერების სიხარული, ჩვენი უმოწყალესი მბრძანებელი დიდს დარდში იმყოფება. იგი, ჰფიქრობს იმათზე, ვისაც ამ წვიმაში ქუდები არა ჰხურავთ და ჰსურს იცოდეს, რამდენია ასეთი კაცი პეკინში.

— აი, ღმერთმა შეაჩვენოს ის არამზადები! მართლაცა და ბევრნი დაძრწიან!—ბრძანა სან-ჩი სანმა: მაგრამ...—და გასცა ბრძანება, დაეძახნათ ქალაქის მმართველ ფაი-ხი-ფოსთვის.— ცუდი ამბები ისმის სასახლიდან: ჩვენის სიცოცხლის მეუფეს ქალაქში უწესოება შეუმჩნევია!

— რასა ბრძანებთ? —შეჰყვირა თავზარდაცემულმა ქალაქის მმართველმა:—განა მშვენიერი ედემი აღარ არსებობს, რომ დაჰფაროს პეკინი სასახლისთვის?

— მე არ ვიცი, რა ნაირად მოხდა, მხოლოდ იმის უდიდებულესობას არ ასვენებს ფიქრი იმ არამზადებზე, რომელნიც წვიმის დროს უქუდონი დაეთრევიან. ჰსურს გაიგოს, რამდენია ამისთანა მაწანწალა მთელს პეკინში. გაეცი ჯეროვანი განკარგულება!



მახარობელი. — სურათი გოჟიეტისა

ფეთა ბრძანებისათვის? მზის ჩასვლამდე გეცოდინებათ, ცისკრის მამავ, რაოდენობა უქუდოებისა!

ბოლდიხანმა მოწყალებით გაიღიმა. ძუნ ხი-ძანგი კი გაიქცა, სწრაფად და ქქანით მიჰვარდა პირველ ვეზირს სან-ჩი-სანს. შიშმა დაავიწყა აესრულებინა პირველის ვეზირის შესაფერი პატივისცემა.

— დამიძახეთ ამავე წამს ბებერს ქოფაკს ხუარ-ძუნგსა!— უყვიროდა ცოტა ხნის შემდეგ ფაი-ხო-ვო თავისს ხელქვეითებს.

როდესაც დარაჯების უფროსი შიშისაგან ფერ-წასული, აცახცახებული ჩაუვარდა ფეხებში, მანდარინმა მთელი სალარო წყევა გინებისა მიახალა:—შე არამზადავ, უსაქმურო, საზი-

ზღარბო მოღალატევ! შენ გინდა, განა, რომ ჩვენ ყველანი ცოცხლადვე გადაგვხერხონ?

— მიბრძანე მიზეზი შენის რისხვისა!—არტყავდა თავს გონ-დაკარგული ხუარ-ძუნგი გულმოსულის მანდარინის ფეხებს:—რომ მივხვდე მაგ სანუგეშო სიტყვების აზრს. თორემ, ვშიშობ, ვაი თუ უბედურმა ვერ შევიგნო აზრი შენის სიბრძნისა!

— ბებერო ქოფაკო! შენ ღორების დარაჯობა უფრო შეგფერის, ვიდრე უფროსობა ქვეყნიერების უდიდესის ქალაქის დარაჯებისა! თვით ჩინეთის მბრძანებელს მიუქცევია ყურადღება, რომ შენს მზრუნველობის ქვეშე მყოფს ქალაქში უწესოება ჰხდება: ქუჩებში თურმე დაეთრევიან მაწანწალები, რომელთაც წვიმაში თავზე დასახური არა აქვთ. ამ საღამოსვე მაცნობე, რამდენი არამზადაა ასეთი?

— ყველაფერს სისრულეში მოვიყვან! — მოახსენა ხუარძუნგმა და სამჯერ თავი დასთხლიშა იატაკს.

თვალის დახამხამების უმალ იგი უკვე გაჰკიოდა და ფეხებს უბარტყუნებდა ხელქვეითებს, რომელნიც დაფდაფის დაკვრით მოწოდებულ იქმნენ.

— თქვე სათოკეებო! ნახევარი თქვენგანი ნახშირზე დასწვავია! მაგრე უპატრონებთ თქვენ ქალაქს? თურმე ქუჩებში წვიმის დროს უქუდოები დაეთრევიან. ერთის საათის განმავლობაში ყველანი აქ მორეკეთ გაბაწრულნი!



შვიდნი არიან, შვიდნი.—ძველი ჰოლანდიური სურათი ფლორისა.

დარაჯები დაფაცურდნენ, დაერივნენ პეკინის ქუჩებს და დაიწყეს უწყალოდ ნადირობა უქუდოებზე.

— დაიჭი, გათოკე!—გაჰკიოდნენ დარაჯები და დასდევდნენ საბრალო უქუდოებს. ისინიც იმალებოდნენ ღობის ძირებში, ჭიშკრებში და ქოხ-ქუხებში იმ ვირთაგვებივით, რომელთაც მზარეულები დასდევენ ხოლმე მოსახრაკავად. ერთის საათის განმავლობაში პეკინის უქუდოები ყველანი საპატიმროში შეჰყარეს.

— სულ რამდენია? იკითხა ხუარ-ძუნგმა.

— 20,871!—მოწიწებით მოახსენეს მუხლ-მოდრეკილმა დარაჯებმა.

— ჩქარა ჯალათები!—ბრძანა დარაჯთ უფროსმა.

ნახევარ საათის შემდეგ 20,871 თავ-მოჭრილი ჩინელი საპატიმროს ეზოში ეყარა. 20,871 თავი ჩამოაცვეს შუბებზე და ამართული შემოატარეს მთელს ქალაქში, რომ უქუდოდ სიარული აღარავის გაებედნა. ხუარ-ძუნგმა მოახსენა ეს ამბავი ქალაქის უფროსს ფაი-ხი-ვოს, ფაი-ხი-ვომ პირველს ვეზირს სან-ჩი-სანს, ხოლო უკანასკნელმა შეატყობინა ძუნ-ხი-ძანგსა.

დაღამდა. წვიმამ გადაიღო. ბოლდიხანი სარკმელთან იდგა და სტკბებოდა მშვენიერის, სურნელოვანებით შეზავებულ ჰაერის ყნოსვით და საუცხოვო სურათით. მიუბრუნდა ძუნგ-ხი-ძანგსა და უბრძანა:

— შენ თითქო უნდა შეგეტყო: რამდენი უქუდოა პეკინში წვიმის დროს?

— სურვილი მსოფლიოს მეუფისა აღსრულებულ იქმნა მისის მონების მიერ! — თაყვანის-ცემით მოახსენა ძუნგ-ხი-ძანგმა.

— რამდენია? მხოლოდ გაფთხილდი: სიმართლე სთქვი!

— მთელს პეკინში არ მოიძებნება არც ერთი ჩინელი, რომელსაც წვიმის დროს თავზე დასახური ქუდი არა ჰქონდეს. ვფიცავ, რომ სრულს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ!—და ძუნგხი-ძანგმა აღაპყრო ხელნი ცათ და დახარა თავი ნიშნად ფიცისა და თქმულის ჭეშმარიტებისა.

კეთილ იმპერატორის სახეს ნათელი გარდაეფინა, სიხარულისა და ბედნიერების ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე.

— ბედნიერი ქალაქი, ბედნიერი ერი, ბედნიერი ქვეყანა!—წამოიძახა აღფრთოვანებით ბოლდიხანმა ლი-ოამ: — ბედნიერი ვარ მეც, რომ ჩემს უდიდესს სამფლობელოში, ჩემ დროს ასეთს კეთილ დღეშია ხალხი!

სასახლეშიც ყველა ბედნიერი იყო, როდესაც იხილეს სიხარულის ღიმილით მოსილი სახე ბოლდიხანისა.

სან-ჩი-სანმა, ფაიხი-ვომ და ხუარ-ძუნგმა კი მიიღეს ოქროს გველეშაპის ნიშნები ხალხის საკეთილდღეოდ მამობრივ და თავ-დაუზოგველ მზრუნველობისათვის.

ანტონ თოიძე.

რად შეგიყვარო?..

რად შეგიყვარო? რისთვის გაღმერთო?
მაცდურ ღიმილით ვერ დამატყვევებ,
ხვევნა-ალერსით, ნარნარის რხევით
დღეს ადრინდულად ვერ ამაღელვებ...

ოდესღაც ადრე ფიცხელს ოცნებას
სხვა სასოება არ უჩნდა ქვეყნად;
შენს სამსხვერპლოზე განუწყვეტლად
ცეცხლს ვაღვივებდი შენ სადიდებლად.

აღფრთოვანებულს, მოხიბლულს მგოსანს
შენ მყავდი ერთი შესამკობელად,
ჩემი ჩანგის ხმა თვით გულ-ქვა მწირსაც
გულს აუშლიდა სატრფიალებლად.

ქვეყნის დიდებად, ქვეყნის სახელად,
თვით მაცოცხლებელ სარწმუნოებად

მიმაჩნდა მხოლოდ შენი სურვილი
და ქედს ვიხრიდი მის წინ მონურად.

ვით მტარვალს ძლევით განებივრებულს,
სისხლსა შეჩვეულს, განუკითხველსა,
შეგეძლო ფეხით მუდამ გეთელე,—
მაინც ვამკობდი შენსა სახელსა.

თვით ოკეანთა სიღრმე საშიში
და ცის ვარსკვლავთა მიუწდომლობა
ვერ შეაკვეცდნენ ჩემს სურვილს ფრთებსა,
თუ კი მესმოდა შენგან მადლობა.

ბევრჯერ შენს მონას შენს ბროლის მკერდთან
ტკბილი სამოთხე მომზმანებია,
სიამით დამთვრალს შენთან სიკვდილი,
შენთან დამარხვა მინატრებია...

დღეს კი... ცხოვრებამ მიცვალა გული:
აღარ ვაღმერთებ ძველსა ღმერთებსა
და დავამსხვრიე იგი სამსხვერპლო,
სადაც ვსწირავდი ძველად მსხვერპლებსა.

დღესაც მყავს ღმერთა, მაგრამ ის ღმერთა
შენებრ არ ბრწყინავს ხორცის სიმშვენით,
შენებრ თვალ-წარბით, გიშრისა თმებით
გულს არ მითრთოლებს პირუტყვულ ვნებით...

მასც ვემონები, მაგრამ კი ვიცი,
რომ პატივს არ სცემს ის ჩემს მონობას;
შენებრ არ არის იგი მტარვალი:
ის უმღერს მხოლოდ თანასწორობას.

ის უმღერს ტრფობას ადამიანურს,
აზროვანს, გულის გამცოცხლებელსა,
ჭირთა მალამოდ, იმედ-ნუგეშად
კაცთათვის ზეცით მოვლინებულსა...

ილ. პონტელი.

მთაო, რათა ხარ?..

მთაო, რათა ხარ მოღრუბლვით
პირქუშად, განამწყრალადა,
— დაგიხვევია ბურუსი,
გული გიჩქროლავს ჩქარადა?..

რას ეტყვი ზეცას, ქვეყნისამ
რამ დაგახვია ნაღველი,
—ხევ-ხუვნი რისთვის მოგტირან,
ან რისხვას სითგან მოელი?!

გიგრძნობსა გული ბარისას
გაორგულებას, დაჩაგრვას,
— მამა-პაპისა ანდერძის
მოსთქვამ და ჭკნათ დაკარგვას?..

მომითხარ, შენებრ ამაყსა
ვინ სით გიბედავს ზიანსა,
გულს რა გიწუღლუღებს, განატრებს
დღეს ნათელს, მუქმფენს, მზიანსა?

იქნებ მოგხიბლა მეზობლის
ფლიდობამ ენაწყლიანმა,
გულში რამ გრძნობა ღალატის
ჩაგიდო, დაგაზიანა?...

ნუ დამიმალავ, გეთაყვა,
მითხარი ყველა მთლიანად,
ჭვლავ გამიღიმე დაჩაგრულს,
მეჩვენე პირიმზიანად!..

დაგიწყებული.

# მძულვარება

კარლ ევალდისა.

ოცდა ათის წლის წინად ერთს პატარა ქალაქში, სადაც, სხვათა შორის, არსებობდა ლათინური სკოლა, ორთქლის მანქანა გასქდა. ეს მოხდა დილის რვა საათზედ. გაისმა ყრუდ ტკაცუნი, ავარდა საშინელი კვამლი, ჩამოცვივდა მანქანის ნამტვრევები, ქვები და დააქცია სახლი.

ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა ბევრი ხალხი, მაგრამ სულ არ დახოცილა, რადგან დანაქცევის ქვეშიდან ისმოდა ყრუ და შესაბრალისი გოდება. ტირილ-გოდების დროს გაისმა სასოწარკვეთილი წივილი ერთ ახალგაზრდა ქალისა, რომელიც იქვე იდგა პატარა ჩამადნით ხელში. ქალი ის იყო ჩამოსულიყო კაპენგაგენიდან ქმართან, რომელსაც წინა დღეს მიელო ქარხანაში სამუშაო და ეხლა კი, სხვებთან ერთად, სახლს მოჰყოლოდა ქვეშ. მალე ქალაქის მოურავმაც მოირბინა. თავზე ეხურა კოხტა ქუდი, რომელსაც უკან ოქროს ფუნჯი ჰქონდა გაკეთებული.

— ეი, ხალხნო!—დაიძახა იმან:—ყველა, ვისაც ხელები აქვს და მკერდში გული გიცემთ, საქმეს მიჰმართოს?

იმის გვერდით თორმეტის წლის გიმნაზიელი იდგა. იღლიის ქვეშ შეკრული წიგნები ეჭირა. ბავშვმა წიგნები სწრაფად შორს გაისროლა და გულ-მოდგინედ დაიწყო მუშაობა. ხალხი საჩქაროდ ისროდა ქვებს და ნანგრევებს... იმათ შორის ყველაზედ მარჯვედ გიმნაზიელი საქმობდა. მიწის ქვეშიდან კვნესა თან და თან უფრო მკაფიოდ ისმოდა... ერთის საათის მუშაობის შემდეგ ყველანი გაანთავისუფლეს—მკვდრებიც, ცოცხლებიც, დაშავებულ-დაჟეჟილნიც. როდესაც საავადმყოფოში მიჰყავდათ, იმათი კვნესა-გოდება ქალაქის ქუჩების ხმაურობას აყრუებდა.

ბავშვმა თავის წიგნებს დაუწყო ძებნა, მაგრამ არსად აღმოჩნდა. ვერც ქუდი იპოვნა, სახე და ხელებიც მთლად სისხლში ჰქონდა ამოსვრილი და ტანისამოსი შემოფლეთილი. იმისი თვალები ამ დროს ვაჟკაცურად გამოიყურებოდნენ... ამ სახითვე გამოცხადდა სასწავლებელში და მასწავლებელს აუხსნა მომხდარი ამბავი. მასწავლებელმა ცალკე გაიხმო.

— ყოველ შემთხვევაში დაიგვიანე გაკვეთილზე,—დარიგების კილოთი უთხრა მასწავლებელმა მოწაფეს:— და ამისათვის დაისჯები. რა გქონდა პირველი გაკვეთილი? ჰო, აი, გავიგოთ, იცი თუ არა ლათინური გაკვეთილი.

ბავშვი მიაჩერდა მასწავლებელს და ვერა გაეგო-რა.

— აბა, ჩქარა, იტყვი თუ არა?—შეეკითხა მასწავლებელი.

ბავშვი მისჩერებოდა, გაიგო რაშიაც იყო საქმე. ხმა ამოუღებლივ იდგა, მხოლოდ იმის თვალებში რაღაც ღრმა მძულვარება გამოიხატებოდა. მასწავლებელი თვალს ვერ უსწორებდა ბავშვს; გაწითლდა, მუშტები მოკუმშა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ... ფეხით დააბრახუნა და გაშმაგებით შეჰყვირა:—წადი შენს გზაზედ... გასწი! გამეცალე!

—

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ამ მოსწავლესთან, რომელიც უკვე დავაჟკაცებული და ცხოვრებაშიაც, ცოტად თუ ბევრად, გამოცდილი იყო, მივიდა სკოლის ამხანაგად ყოფილი.

— ჩვენი წინანდელი მასწავლებელი გარდაიცვალა,—უთხრა იმან,—იმის საფლავზე უნდათ ძეგლი დადგან... რას იტყვი, ხომ მიიღებ მონაწილეობას ამ საქმეში?

ის განზედ გადგა და წელზედ ხელ დაწყობილმა უპასუხა:

— არა, არასოდეს!—და როცა დაინახა ამხანაგის გაკვირვებული სახე, განაგრძო:—დიდება უფალს, რომ მოკვდა! მე მძულდა ის მასწავლებელი, მძულდა იმიტომ, რომ მაჩვენა იმაზე უსაძაგლესი, რაც კი ადამიანთა შორის მინახავს.

ბ. ახოსპირელი.




„კრუჟოკის“ საუმაწვილო საღამო.

## აი ნამდვილი მოწმენი!



მოსამართლე.—შეგიძლიანთ ფიც ქვეშა სთქვათ, რომ ორასი მარკა დაუბრუნეთ მომჩივანს?

— მე კი არ შემიძლიან დავიფიცო, მაგრამ ეს ორნი მოწმენი კი დაიფიცვენ.

## საქველმოქმედო წარმოდგენის შემდეგ



— კნეინავ, დრო როგორ გაატარეთ? შორს იჯექით და შე-ჭველია კარგად ვერც მოისმენდით და ვერც დაინახავდით?

— ამ წარმოდგენისათვის სწორეთ მშვენიერი ადგილი მქონდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлисъ, 9 Іюля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.